ბიულეტენი

აჭარის სულიერებისა და კულტურის ცენტრის
საინფორმაციო ორგანო

№2 (78) აპრილი-ივნისი 2017 წელი

ქართველების მიწაქენი

იმედისა და რწმენის 10 წელი

ნიკოლოზ ბარათაშვილი - 200

ოჯახის სიწმინდის დღე

შეხვედრა ოლდან გეწაძესთან

შეხვედრა ელდარ გეწაძესთან

აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრმა ციკლის „ხელოვნების გამოჩენილი მოღვაწეები“ პირველი შეხვედრა (31 მარტი) საქართველოს სახალხო არტისტს, თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტს, ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორ ელდერ გეწაძეს მიუძღვნა. ამ გამორჩევის მიზეზები განმარტა ცენტრის ხელმძღვანელმა სვეტლანა ქეცბამ: ელდარ გეწაძე პიროვნებაა, რომელიც თავის ყველა ღირსებასთან ერთად ყოველთვის, ყოველ წამს მზად არის დახმარება გაგიწიოს, გვერდით დაგიდგეს ნებისმიერ საშურ საქმეში და ამის სათავე დიდი სიყვარულია, ყოველგვარ კეთილ საქმეს რომ სჭირდება.

სწორედ ამის ხაზგასასმელად ჩაიფიქრეს ორგანიზატორებმა საღამოს დაწყება ლისტის ნოქტიურნით, ყოვლისმძლევი და მარადიული გრძნობებით აღსავსე ნაწარმოებით, რომელიც შეასრულა ცენტრალური სამუსიკო სკოლის მოსწავლე ანა კვარაცხელიამ. პირველი სიტყვა კი თავად საღამოს მთავარ გმირს - ელდარ გეწაძეს დაეკისრა. დასაწყისში ბატონმა ელდარმა ერთგვარი უხერხულობაც გამოხატა თავისი ამპლუის გამო, მაგრამ მისმა საუბარმა, დამოკიდებულებამ აუდიტორიისადმი, ზოგადად, მუსიკის, ქართული მუსიკისადმი, ბუნებრივი მიმართულება მისცა ამ შეხვედრას. ალბათ, არც ის იყო შემთხვევითი, რომ სწორედ ამ შეხვედრის წინა საღამოს სასიხარულო ცნობა მოსვლია მაესტროს: მისი მოსწავლე ლაშა სესიტაშვილი ჩაირიცხა ლა სკალას საოპერო აკადემიაში.

ბატონი ელდარი, ყველაფერთან ერთად, უბადლო მთხრობელი, მთელი საღამოს მანძილზე იხსენებდა მნიშვნელოვან ფაქტებს თავისი ცხოვრებიდან, განსაკუთრებით გამოყო შემოქმედებითი ურთიერთობა კოპოზიტორ ოთარ თაქთაქიშვილთან.

საღამოს დასაწყისში ერთ სიურპრიზს გთავაზობთო, ბრძანა და როიალთან იხმო ქალბატონი დარეჯან მახაშვილი, მისი უერთგულესი ცხოვრების თანამგზავრი, ამ შემთხვევაში კი შემოქმედებითი პარტნიორი, კონცერტმაისტერი. ეს მართლაც დიდი სიურპრიზი იყო მისი მხრიდან, დიდი ხანია მას არ შეუსრულებია ეს ურთულესი არია, აუდიტორია აღაფროვანა მომღერლის გარდასახვამ, გატაცებამ პერსონაჟით, ბატონმა ელდარმა გაახსენა საზოგადოებას ნაწარმოები, რომელიც ათეული წლების წინ წარმატებით იდგმებოდა თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სცენაზე, შეაგრძნობინა მისი ხიბლი. ამ ერთი არიის აჟღერებით იმგვარი სიამოვნება მიანიჭა აუდიტორიას, რომ მისი დადგმის სურვილიც ჩაუსახა. ეს გახლდათ ქრისტეფორეს რეჩიტატივი და არია ოთარ თაქთაქიშვილის ოპერა „პირველი სიყვარულიდან“.

შეხვედრის მხატვრული ნაწილი ელდარ გეწაძის კლასის სტუდენტებს დაეთმო. წარმოდგენილმა შემადგენლობამ მაესტროს კლასის პროფესიული მომზადების სრული სურათი შექმნა და კიდევ ერთხელ დაადასტურა იმ თამასის არსებობა და გაგრძელება, რომელიც ელდარ გეწაძეს ჯერ კიდევ თავისი სკოლიდან, დავით ანდღულაძის კლასიდან მოჰყვებოდა. წარმოდგენილ სტუდენტთაგან ზოგიერთი საერთოდ პირველად გამოვიდა აუდიტორიის წინაშე. მაგალითად, ასე გაგვეცნო პირველი კურსის სტუდენტი გიორგი ჭრელაშვილი, რომელმაც შეასრულა უკრაინული სიმღერა „ბანდურა“; ასევე პირველად წარსდგა აუდიტორიის წინაშე ბაკალავრიატის პირველი კურსის სტუდენტი ალექსანდრე ხუხუშვილი გოჩას არიით მელიტონ ბალანჩივაძის ოპერიდან „დარეჯან ცბიერი“, ალექსი მაჭავარიანის რომანსი „ზზეთა ზზის სახეო“ პირველი კურსის სტუდენტმა ხატია ჯიქიძემ შეასრულა, ახალგაზრდა მომღერლის შესახებ უნდა ითქვას, რომ ტემბრალურადაც სძლია ამ რომანსის ბგერწერით ხვეულებს და ნაწარმოებისთვის დამახასიათებელი ლირიზმიც გაითავისა. ინდივიდუალიზმისა და პროფესიული დაუფლებისკენ სწრაფვა გამოამჟღავნეს მეორე კურსის სტუდენტებმა თორნიკე გოგრიჭიანმა ფრანჩესკო პაოლო ტოსტის სიმღერის და ირაკლი მელიქიშვილმა გეორგ ფრიდრიხ ჰენდელის ოპერიდან „დებორა“ არიის შესრულებაში, არტისტული სიმწიფე იგრძნობოდა ოპერის თეატრის სტაჟიორ გიგი ბერაიას მიერ კოტეს არიაში ვიქტორ დოლიძის ოპერიდან „ქეთო და კოტე“. ნეაპოლიტანური სიმღერის ხიბლი და სიმსუბუქე შეგვაგრძნობინა, ასევე, ოპერის თეატრის სტაჟიორმა ოთარ შიშინაშვილმა. „დარეჯან ცბიერიდან“ მეფე გიორგის არიით ოპერის თეატრის სტაჟიორმა გივი გიგინეიშვილმა, შეიძლება ითქვას, შექმნა პერსონაჟი, ვოკალური და არტისტული მონაცემების თანხვედრით. ბატონმა ელდარმა ასეთი კომენტარი წარუმძღვარა მაგისტრატურის პირველი კურსის სტუდენტ გიორგი გუგუნავას გამოსვლას - რომ ეს ის შემთხვევაა, როდესაც იტალიაში წასვლამ კიდევ ერთ ახალგაზრდას ფართოდ გაუღო კარი შემოქმედებითი წინსვლისაკენ. მართლაც, მის მიერ ლაღად აჟღერებული ურთულესი ჟერარის მონოლოგი ჯორდანოს ოპერიდან „ანდრე შენიე“ გამოხატავდა ერთდროულად – აქაური საფუძვლიანი და მყარი ნიადაგის შერწყმას იტალიურ ბზინვარებასთან. კონცერტში მონაწილეობდა, აგრეთვე, ახალგაზრდა შემსრულებელი, რომლის ჩამოყალიბებაში ბატონ ელდარსაც მიუძღვის წვლილი, ეს გახლდათ თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ბაკალავრიატის მეოთხე კურსის სტუდენტი ნინო ჩიქოვანი, რომელმაც შეასრულა ლეონორას არია დონიცეტის ოპერიდან „ფავორიტი ქალი“. საკონცერტო ნაწილის პროფესიული და ემოციური ტონუსი დარეჯან მახაშვილთან ერთად განაპირობეს კონცერტმაისტერებმა: ირინა რამიშვილმა, მაია ფერაძემ, მარინა მეტრეველმა.

ის, რომ ამ შეხვედრა-კონცერტმა არავინ დატოვა გულგრილი, გამოიხატა ერთსულოვანი აპლოდისმენტებით, ბატონი ელდარის კოლეგების და მეგობრების რეაქციებით, სურვილით, გამოეთქვათ თავიანთი განწყობა. ნიშანდობლივი იყო ქალბატონ გულიკო კარიაულის მოსაზრება: დღეს კიდევ ერთხელ წარმოჩნდა ელდარი, როგორც ქართული ვოკალური სკოლის ერთ-ერთი წინამძღოლი, მიხარია და მინდა გავიმეორო, რომ ჩვენ ერთი ძირიდან მოვდივართ, ერთი სკოლის - ანდღულაძეების კლასის წარმომადგენლები ვართ და ერთ მიზანს ვემსახურებით!

ბატონი ელდარის უშურველობის, თანადგომის მაგალითი მოიყვანა ქალბატონმა თამარ გურგენიძემ: ჩვენ ნაკლებად ვხვდებოდით ერთმანეთს როგორც პარტნიორები, ვინაიდან საოპერო რეპერტუარში ბარიტონსა და მეცო-სოპრანოს იშვიათად აქვთ ერთმანეთთან შეხება, მაგრამ ელდარის თანადგომა დამჭირდა, როდესაც უკვე რეჟისორის ასისტენტის ამპლუაში მყოფს „დაისში“ დამეკისრა კიაზოს როლში დღეს უკვე მსოფლიო სცენაზე მიღებული მომღერლის გია გაგნიძის შეყვანა. განსაკუთრებით რთული იყო კიაზოს პირველი გამოსვლის მომზადება (წუწუნავასეული დადგმიდან, რომელიც აღადგინეს ზურაბ და ჯემალ ანჯაფარიძეებმა). საგონებელში ჩავვარდი, არ ვიცოდი, როგორ მომეგვარებინა ეს საქმე და ელდარს მივმართე. იგი სულითა და გულით დაგვეხმარა, გაგვარკვია, თუ როგორ უნდა მიგვეღწია მიზნისათვის, წარმატებული შედეგი კი დიდწილად ელდარის დამსახურება იყო. ქალბატონმა თამარმა, აგრეთვე, გაიხსენა ელდარ გეწაძის წარმატებული გამოსვლა მოსკოვში თბილისის ოპერის თეატრის გასტროლებზე, „დაისის“ შემდეგ, როდესაც აპლოდისმენტებმა და გამოხმაურებებმა ყველა მოლოდინს გადააჭარბა, მოსკოველები დამატებით სპექტაკლს ითხოვდნენ, მაგრამ აღმოჩნდა, რომ დეკორაციები უკვე თბილისში გაეგზავნათ, ამიტომ გაწბილდა მოსკოველი მაყურებელი...

მადლიერების გრძნობით იყო აღსავსე ბატონი იმერი კავსაძის გამოსვლა: „არაერთხელ მომიწია ელდართან ერთად სიმღერა, მასთან ერთად გასტროლებზე გამგზავრება, ერთ ნომერში ცხოვრება. არ მახსენდება არც ერთი შემთხვევა, რომ

(გაგრძელება მე-4 გვ.)

(დასაწყისი მე-3 გვ.)

ერთმანეთისათვის ვერ გაგვეგო. იგი ყოველთვის ერთნაირად იწვევდა აღფრთოვანებას როგორც პარტნიორი, თანამგზავრი, თანამეინახე...“

ამ შეხვედრა-კონცერტის ზეაწეული ატმოსფერო კიდევ უფრო გაზარდა საქართველოს მუსიკალური საზოგადოების თავმჯდომარე მანანა ახმეტელის გამოსვლამ, რომელმაც ძალზე მნიშვნელოვანი და სასიხარულო ამბავი აუწყა საზოგადოებას -ფალიაშვილის პრემიის კომიტეტმა ელდარ გეწაძეს ფალიაშვილის მუსიკის პროპაგანდისათვის ერთხმად მიანიჭა ზაქარია ფალიაშვილის პრემია!..

ბატონმა დიმიტრი ჯაიანმა ამ ფაქტთან დაკავშირებით განსაკუთრებული დამოკიდებულების გამოსახატავად დაუშვა გამონაკლისი (სერგო ზაქარიაძის შემდეგ გალაკტიონთან შეჭიდებას ვერ ვბედავო) და პირველად ცხოვრებაში წაიკითხა „ლურჯა ცხენები“...

ემოციურმა მუხტმა, რითაც აღსავსე იყვნენ კონცერტის მონაწილე - შემსრულებლები და დამსწრე საზოგადოება, სულიერებისა და კულტურის ცენტრის მონდომებამ და, რაც მთავარია, ისევ და ისევ ბატონი ელდარის ფენომენმა, რომელიც თავისი იშვიათი პროფესიული და პიროვნული ღირსებებით ერთ-ერთ საყრდენ და მამოძრავებელ ძალად მოიაზრება იმ სფეროში, რომელსაც იგი ათეული წლების მანძილზე დაუღალავად ემსახურება, დაუვიწყარი გახადა შეხვედრა.

თამარ წულუკიძე

„იმედისა და რწმენის 10 წელი“

24 აპრილს აფხაზეთის სულიერებისა და კლულტურის ცენტრში წიგნის „იმედისა და რწმენის 10 წელი“ პრეზენტაცია გაიმართა. ეს ცენტრის მიერ გამოცემული მესამე კრებულია. მასში თავმოყრილია სტატიები და გამოხმაურებები 10 წლის მანძილზე ცენტრის მიერ ჩატარებული ღონისძიებების შესახებ. წიგნი 12 თავისგან შედგება და ვინაიდან მისი გამოცემა შოთა რუსთაველის საიუბილეო წელს დაემთხვა, ისინი რუსთაველის აფორიზმების მიხედვით არის დასათაურებული.

საჩხერისა და ჭიათურის მიტროპოლიტი დანიელი (დათუაშვილი):

- უფლისმიერ საყვარელნო მამანო, დედანო, ძმანო და დანო. უპირველეს ყოვლისა, მინდა მოგილოცოთ. ჩვენ ვიმყოფებით აღდგომის სადღესასწაულო პერიოდში. ჩვენ ვზეიმობთ იმას, რომ ღმერთმა გაანადგურა ბოროტება.

ჩვენ ვცხოვრობთ ეპოქაში, როდესაც ბევრი დაცემა გვქონდა, ბევრი ტკივილი გვქონდა, მაგრამ მიუხედავად ამ გარდამავალი პერიოდის სირთულისა, რომელიც დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ აქვს ჩვენს ქვეყანას, ერთი სიმბოლო ამ ტკივილისა არის აფხაზეთი, ჩვენ ვდგავართ განთავისუფლების გზაზე ღვთის მადლით, და რომ ეს ასეა, ჩანს იმით, რომ ამ ბოლო ოთხი ათეული წლის განმავლობაში ღმერთმა გამოგვიგზავნა ძალა აღდგომისა და პიროვნება, რომელიც ამ ძალას გვაკავშირებს - ესაა ჩვენი პატრიარქი და მინდა აღდგომასთან ერთად მოგილოცოთ 2 დიდი თარიღი: 2017 წელი არის საიუბილეო თარიღი - 100 წლისთავი ავტოკეფალიის აღდგენისა და 40 წელი ჩვენი პატრიარქის საპატრიარქო ტახტზე აღსაყდრებისა, რაც არის იგივე, რაც ჩვენი ერის, სულიერი განადგურების პირას მიყვანილი ერის, შემობრუნება ღვთისაკენ. სიმბოლურია, რომ ეს წელი არის ჩვენი აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრის საიუბილეო წელი და მნიშვნელოვანია, რომ ამ ღირსშესანიშნავ წელს ესეც აღინიშნება. ამ 40 წელიწადში აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრმა, ვფიქრობ, დიდი როლი შეასრულა იმიტომ, რომ, ჯერ ერთი, ეს არის პატრიარქის კურთხევის აღსრულება. ეს ნიშნავს, რომ პატრიარქმა აკურთხა ყველა ეპარქია ამის განსახორციელებლად, მაგრამ ყველგან ეს არ ხერხდება, აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრი კი არსებობს, ეს, რასაკვირველია, არის კურთხევის აღსრულება და ქალბატონ სვეტლანას და მის გვერდში მდგომ ყველა სასულიერო თუ არასასულიერო პირს ვუღოცავ ამ ცენტრის არსებობას. მინდა ხაზი გავუსვა, რომ ეს იყო კონსტიტუციური შეთანხმების ამოქმედების ერთ-ერთი ნიმუში, რომ აფხაზეთის მთავრობასა და საქართველოს საპატრიარქოს შორის დაიდო შეთანხმება და მინდა მადლობა ვუთხრა დღევანდელ აფხაზეთის ხელისუფლებას - ბატონ ვახტანგს, ბატონ გიას. ყველაფერი ღვთის ხელშია. თუ ღმერთი ინებებს, ყველაფერი ერთ წამში შეიცვლება და ამისათვის ვაკეთოთ ის, რაც ღმერთისათვის მოსაწონია და აუცილებლად ყველაფერს დანარჩენს ღმერთი გააკეთებს.

მინდა ვთქვა, რომ ეს ცენტრი ნამდვილად ამართლებდა თავის მისიას - სულიერებისა და კულტურის ცენტრი. დიახ, სულიერების გარეშე, ანუ სულის სიჯანსაღის, სულის კავშირის გარეშე თავის წყაროსთან - ღმერთთან, არაფერი იქნება. სადაც არის კავშირი, სიყვარული, მშვიდობა, იქ არის ჭირთათმენა. სულიერება, სასულიერო და საერო კავშირი ამ ცენტრში იყო განხორციელებული და ქალბატონი სვეტლანა არის სიმბოლო იმისა, რომ კულტურა, ეროვნული კულტურა, საერთოდ საერო შემოქმედება უნდა გაერთიანდეს ღვთაებრივთან, რასაც პატრიარქი მოგვიწოდებს, ეს ამ ცენტრში ხორციელდებოდა. ბევრი თქვენგანი დასწრებია ამ ცენტრში შეხვედრებს და ყველა ამ შეხვედრას ჰქონდა რაღაც დამამშვიდებელი, სალბუნივით გულზე გედებოდა, ეს ყველაფერი ხდებოდა იმიტომ, რომ ეს იყო კავშირი ღვთისა და ადამიანისა. ამას ახერხებდა ქალბატონი სვეტლანა, მისი გვერდში მდგომნი. მათ გვერდში ყოველთვის იდგნენ მამა ბიძინა, მამა ადამი, ბატონი ელდარი. კიდევ ერთხელ დიდი მადლობა ბატონ ვახტანგს, ბატონ გიას და ყველას.

მონოზონი ელენე (ნაფეტვარიძე):

- თავის ქვეყანაში ერთი ადგილიდან დაძრული და სხვაგან ჩამორეკილი პატარა თაობა დიდი საშიშროების წინაშე დადგა. შეიძლებოდა გზას აცდენოდა. ამ თაობის ბავშვებს ღიმილი არ ჰქონდათ. შეიქმნა იმის საჭიროება, რომ ამ ადამიანებს ჰქონოდათ სულიერი მხარდაჭერა. ამისთვის შეიქმნა სულიერებისა და კულტურის ცენტრი. ადამიანის სულზე დამამშვიდებლად, აღმაფრთოვანებლად მოქმედებს კარგი ლექსი, კარგი მუსიკა, კარგი მხატვრობა. სწორედ ეს მისია აიღო თავის თავზე სულიერებისა და კულტურის ცენტრმა. მინდა დიდხანს იყოთ. ეს წიგნი არის წვეთი ზღვაში იმასთან შედარებით, რაც ცენტრმა გააკეთა.

ძალიან რთული იყო გამოდევნილ ადამიანთა ცხოვრება, მაგრამ არანაკლებ მძიმე იყო გალის რაიონში დარჩენილთა მდგომარეობაც. ჩვენ 5 წლის განმავლობაში გადმოგვყავდა მასწავლებლები ტაბახმელაში.თვენახევრის, ორი თვის განმავლობაში ისინი ყველა ერთად ცხოვრობდნენ, უტარდებოდათ ლექციები ხელოვნებაში, საღვთო სჯულში, ქართულ ლიტერატურასა და საქართველოს ისტორიაში. დაჰყავდათ ისინი საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ექსკურსიებზე, აცნობდნენ იმას, რის მონახულებასაც მოკლებულნი იყვნენ და დიდი სითბო, სიყვარული მიჰქონდათ მათ უკან, გალში და გადასცემდნენ თავიანთ აღსაზრდელებს, რომლებსაც ეკრძალებოდათ და დღესაც ეკრძალებათ მშობლიურ ენაზე კითხვა, სწავლა, მეტყველება. ეს ძალიან დიდი და დადებითი მუხტი იყო მათ ცხოვრებაში. ვფიქრობ, ეს არის ძალიან დიდი ღვაწლი, რაც ცენტრმა გასწია იმიტომ, რომ ეს თაობა ადამიანებად გაიზარდა, ადამიანებად, რომლებმაც უნდა გადონ ხიდი დღევანდელ საქართველოსა და დღევანდელ აფხაზეთს შორის. ამ პრობლემების მოგვარებაზე ზრუნვას ცენტრის მთელი შემოქმედებითი ენერგია შეეწირა.

დიდი იმედი მაქვს, რომ ის, რაც დაითესა, აუცილებლად ნაყოფს გამოიღებს, ვინაიდან ეს იყო დიდი სიყვარულით გარჯა, ასეთ ნაბიჯებს კი ჯერ უკვალოდ არ ჩაუვლია. მინდა დიდი მადლობა გითხრათ თქვენ, ყველა თქვენგანს, ყველა თქვენ გვერდში მდგომს, ვიცი, რა ძნელი იყო იმ ფულის შოვნა, პატარა საჩუქრები რომ გეყიდათ ბავშვებისათვის, როგორი ძნელი იყო, როდესაც შენობა არ გქონდათ და ხან სად და ხან სად ატარებდით შეკრებებს. ეს ღმერთმა შეიწირა ყოველივე და დღეს გაქვთ შესანიშნავი ოფისი, მშვენიერი ადგილი და დიდი სიყვარული და დაფასება და მინდა ვთქვა, რომ ეს იქითა მხარესაც გადავა. დიდი დამსახურებაა თქვენი ის, რომ ამდენი ბიულეტენი გამოვიდა, რამდენი რამაა გაშუქებული მათში ამ წლების მანძილზე. ეს წიგნი კი მხოლოდ მცირე ნაწილია ამისა.

ღმერთმა მომავალშიც ბევრი გაგაკეთებინოთ!

ამბობ, მოუთოვია...

დიდი და მნიშვნელოვანი დღეა დღეს აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრში - შევიკრიბეთ ცენტრის მოღვაწეობის 10 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო წიგნის „იმედისა და რწმენის 10 წელი“ პრეზენტაციაზე! შთამბეჭდავია ეს დღე ყველა იმ ადამიანისთვის, ვისთვისაც ეს კერა სულიერი თავშესაფარია, კულტურასა და ხელოვნებასთან, მაღალ ადამიანურ ღირებულებებთან ზიარების საშუალებაა, ქართველებსა და აფხაზებს შორის გადებული ხიდის შენარჩუნების მცდელობაა. ვინც ამ სახლში შემოაბიჯებს, მას აუცილებლად გაჰყვება ქალბატონი სვეტლანასა და მისი კოლექტივის სითბო, გულისხმიერება, ყურადღება, საოცარი ანდამატი, რაც ისევ და ისევ აქ მოსვლის, მათთან თანამშრომლობის სურვილს აღგიძრავს. ეს არის სახლი თქვენი, ჩემი, ჩვენი სახლი, სადაც საინტერესო შეხვედრები, საინტერესო საუბრები, საინტერესო ადამიანებთან ურთიერთობები გველოდება. არ არის იოლი საქმე, 10 წელი ემსახურო რჩეულ იდეას, უერთგულო დასახულ მიზანს და შექმნა საუკეთესო ინტელექტუალური და შემოქმედებითი სახე. ეს შეძლო აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრმა და მადლობა მათ ამ ღვაწლისათვის!

ერთგვარი შემაჯამებელი სიტყვაა დიდებული ჯგუფის მიერ გამოცემული მორიგი კრებული, სადაც თავმოყრილია წლების მანძილზე სათუთად შექმნილი და შენახული არაერთი წერილი, სიტყვა, გამოხმაურება. რუსთველის სიბრძნე და შეგონებანი აძლევს მიმართულებას წიგნს, რომელიც თავისი ილუსტრირებული გვერდებით წლების შემდეგ ერთ-ერთი მემატიანე იქნება აფხაზეთის კულტურულ-ლიტერატურული მემკვიდრეობის საგანძურში.

,,მაგრა თქმულა, კარგის მქმნელი კაცი ბოლოდ არ წახდების...“- ასე სათაურდება კრებულის მეორე თავი, სადაც წარმოდგენილია დიმიტრი გულიას დაბადებიდან 140-ე წლისთავისადმი მიძღვნილი წერილები. 2008-2014 წლებით თარიღდება ,,საინფორმაციო ბიულეტენში“ განთავსებული პუბლიკაციები, რომელთა მისია ქართველებისა და აფხაზების საუკუნოვანი მეგობრობის ხაზგასმაა და ამ სიყვარულის აღდგენისა და დაფასების სურვილი.

,,ქართველის ეზოსკენ გაჭრილი ფანჯარა“; ,, ვინ მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერია“; ,,უერთმანეთოდ ვერ გავძლებთ“; ,,დიმიტრი გულია და აფხაზეთის ისტორიის საკითხები“; ,,საუკუნის მოღვაწე“; ,,ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტ დანიელის გამოსვლა ,,იმედისა და ხსოვნის დღისადმი“ მიძღვნილ საღამოზე“; ,,რწმენითა და იმედით“- ასეთი თანმიმდევრულობით ხასიათდება მუსიკოლოგ სვეტლანა ქეცბას, პროფესორების: ოთარ ჟორდანიას, ჯამბულ ანჩაბაძის, ჯონი აფაქიძის, მედეა კვარაცხელიას, მარინე ჯაიანის შეხედულებები დიმიტრი გულიას პორტრეტზე ისტორიულ-ლიტერატურულ ჭრილში. აქვე ეხება ეთნოგრაფი ნუგზარ ანთელავა დიმიტრი გულიას მიმართებას რელიგიური რწმენის შესახებ, სადაც გამოკვეთს აზრს, რომ ის იყო პიროვნება, ვინც ქართველ და აფხაზ ხალხებს განიხილავდა, როგორც ერთი წარმომავლობის, ეთნიკურად მონათესავეს. საყურადღებოა ასევე, ქალბატონი რუსუდან ჯანაშიას მოგონება დიმიტრი გულიაზე, რასაც ავტორი ასე ამთავრებს: ,,... მე მაინც იმედი მაქვს, რომ უერთმანეთოდ ვერ გავძლებთ და ყველაფერი მოგვარდება.“ ,,საუკუნის გამორჩეულ მოღვაწეს და დიდ ერისკაცს “ უწოდებს თავის წერილში ავთანდილ საყვარელიძე დიმიტრი გულიას.

,,- ვუყურებ თითოეულ თქვენგანს და ვფიქრობ იმ მეგობრობაზე, იმ დიდ ადამიანებზე, რომლებიც იქ დავტოვეთ... მე მინდა იმედიანობა გისურვოთ, ვინაიდან იმედი ბოლოს კვდება...“ ეს ჩვენი დროის გამორჩეული ლირიკოსის, პოეტი გენო კალანდიას აუსრულებელი სურვილია პუბლიკაციიდან ,,ხსოვნითა და იმედით“ და ძლიერ სამწუხაროა, რომ ბატონი გენო დღევანდელ საღამოს დააკლდა, დააკლდა ქართულ საზოგადოებას და მისი ნათელი სული დავანებულია იქ ,,სადაც მართალნი განისვენებენ“...

აქვე ვკითხულობთ სვეტლანა ქეცბას, ადა მარშანიას, გელა კანდელაკის, ჯანო ჯანელიძის, ნუნუ დუღაშვილის, ციცინო ჯულუხიძის, რუსუდან წურწუმიას ,,ხსოვნითა და იმედით“ სავსე ფრაზებს...

და ბოლოს წიგნის II თავის განსაკუთრებით მნიშვნელოვან გვერდებს შევეხებით, საიდანაც ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი დანიელი მოგვმართვას და გვმოძღვრავს: ,,მინდა შევთხოვო უფალს, რომ მან შეისმინოს ჩვენი ლოცვა და დააბრუნოს ჩვენს გულებში ჭეშმარიტი რწმენა და სიყვარული, რომელიც აღადგენს საქართველოს სულიერ და ფიზიკურ მთლიანობას... ღმერთმა დალოცოს ქართველი ერის სულიერი გამთლიანება, აღდგომა და ამაღლება!“

კიდევ ერთხელ ვულოცავ აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრს კრებულის „იმედისა და რწმენის 10 წელი“ გამოცემას და ვუსურვებ შემდგომ წინსვლასა და წარმატებებს ჩვენი სულიერი მხნეობისა და სიმშვიდისთვის.

დასასრულს მინდა წაგიკითხოთ ჩემი ერთი ლექსი:

***

ამბობ, მოუთოვია იმ მოლუურჯო ზღვასთან,
ეეეე, ეეეე იმ ფერებს, მაგრამ არსად არ ჩანს,
ანთებ კვლავაც საყდართან სანთლებს,
თაფლის სუურნელს
სადღაც უბის უბეში ინახავ და გკუურნეს,
გესიზმრება სო-ხუ-მი და დაშლილი ბუდე.
ამბობ, მოუთოვია იმ მოლუურჯო ზღვასთან...
თმაგაშლილი ქალები მოგონებებს ქსოვენ
და მიმოზის ტევრებში ათენდებათ დილა,
სადღაც ბავშვი წაიქცა დათოვლილი თმებით,
მიგვაცილებს შორეთში უვარსკვლავო ზეცა
და ფლამინგოს ყელივით მორკალული მთვარე,
გუულწითელა ჩიტი იქ მზეზე ვეღარ თბება,
ქარი კვლავაც ორვიით ემსგავსება შეშლილს,
გუულს ხან ლიხნში იოხებს, ხან კოდორის ხევში.
ამბობ, მოუთოვია იმ მოლუურჯო ზღვასთან...
თეთრი ლანდი მიჭყვება ვიწრო გზებს და ქუჩებს,
თეთრი თვრჩა მოუცვამს დახავსებული ქალაქს,
გესიზმრება სო-ხუ-მი და დაშლილი ბუდე.

დარიკო ფიფია

გივი შაჰნაზარი

2015 წლის 15 მაისს აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრში რუბრიკით „ხელოვნების გამოჩენილი მოღვაწეები“ გაიმართა შეხვედრა ცნობილ პოეტსა და მთარგმნელ გივი შაჰნაზართან. საღამო, რომელსაც ესწრებოდნენ აფხაზეთიდან დევნილები და საქართველოში მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლები, გახსნა ცენტრის თავმჯდომარე სვეტლანა ქეცბამ. მან საზოგადოებას წარუდგინა სტუმარი და სთხოვა მას, მოეთხრო შემოქმედებითი ცხოვრების საინტერესო ეპიზოდები. პოეტმა გაიხსენა ახალგაზრდობის წლები, შეხვედრები ცნობილ ადამიანებთან და წაიკითხა ლექსები, მათ შორის ალექსანდრე პუშკინის „მე თქვენ მიყვარდით“, მისეული თარგმანებით. საღამო გაგრძელდა დამსწრე საზოგადოების მისალმებებითა და შეკითხვებით. საპატიო სტუმართან ცოცხალი დისკუსია გამართეს და მასთან შეხვედრის საინტერესო ეპიზოდები გაიხსენეს: დეკანოზმა ბიძინა გუნიამ, ჩეხური სათვისტომოს წარმომადგენელმა ჰაროლდ შმალცელმა, აფხაზეთის მთავრობის წარმომადგენელმა შერმადინ შარიამ, პოეტმა გარი კალამკაროვმა, ცენტრის პრეს-სამსახურის უფროსმა ციცინო ჯულუხიძემ და სხვებმა. საღამოს მხატვრული ნაწილი დაეთმოთ თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორ გულნარა კარიაულის მოსწავლეებს, ნოდარ ანდღულაძისა და ვაჟა ჩაჩავას ახლახან გამართული კონკურსების ლაურეატებს ნათია ივანიაშვილს,თამარ კირაკოსოვასა და ერეკლე გურგე-

გაგრძელება მე-6 გვ.

დასაწყისი მე-5 გვ.

ნიძეს.

დასასრულს გივი შაჰნაზარმა მადლობა გადაუხადა მასპინძლებს, ხაზი გაუსვა, რომ დღეს მით უფრო მნიშვნელოვანი იყო შეხვედრა და პოეზიაზე საუბარი, ვინაიდან 15 მაისი შოთა რუსთაველის დღედ იქნა გამოცხადებული და იმედი გამოთქვა, რომ მსგავსი შეხვედრები გახდება სწორედ სტიმული ახალგაზრდებისათვის, რომ კარგი მკითხველები გახდნენ.

დეკანოზი ბიძინა გუნია: - ამ ცენტრში განხილულა ისეთი საკითხები, რომლებიც ქართველთა და აფხაზთა ერთობის აღდგენას ემსახურება. ყოველივე ეს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ლოცვა-კურთხევით ხორციელდება.

დღეს ერთ-ერთი ღამაზი დღე გახლავთ - საქართველოში მოღვაწე უნიჭიერესი კაცის, ბატონი გივი შაჰნაზარის საღამო, რომელმაც დამსწრე საზოგადოება შეახვედრა ამ მართლაც ღვთივკურთხეული და ნიჭიერი პიროვნების შემოქმედებას.

გივი შაჰნაზარი: - დიდი ურთიერთობები მქონდა აფხაზ მწერლებთან, მათ ლიტერატურასთან. ჩვენ მრავალი ერთობლივი კონფერენცია გაგვიმართავს. კულტურითა და ლიტერატურით უნდა დავკავშირებოდით ერთმნანეთს და სისხლხორცეული ურთიერთობა გვქონოდა ყველასთან, ჩვენიანი იყო ყველა, ვინც კი საქართველოში ცხოვრობდა. უფალმა ინებოს, რომ ეს ურთიერთობები კვლავაც აღდგეს და გაგრძელდეს სამომავლოიდ.

ლიუ ყანდარელი-კუანგვენი: - რაც შეიძლება ხშირად უნდა შევხვდეთ ადამიანები ერთმანეთს. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს თითოეული ჩვენგანისათვის და განსაკუთრებით აფხაზეთიდან გამოსულთათვის, რომელთა მეორე თაობა გაიზარდა უკვე. ძალიან კარგ საქმეს აკეთებს ცენტრი. მე მჯერა, რომ აფხაზეთი დაუბრუნდება საქართველოს.

კულტურის დანერგვის მნიშვნელოვანი დოკუმენტი

2017 წლის 22 მაისს აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრსა და სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა სულიერი და მოქალაქეობრივი თვითშეგნების ამაღლების ხელშეწყობის, საქართველოს საპატრიარქოსთან არსებულ დაწესებულებებთან კავშირის გაღრმავების, დევნილთა პროფესიული მომზადებისა და გადამზადების, ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვის, აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებული ისტორიულ-კულტურული ფასეულობების მქონე საეკლესიო ნაგებობებისა და საგანძურის დაცვისა და მოვლა-პატრონობისათვის ერთობლივი პროგრამების განხორციელების მიზნით გაფორმდა **ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი.** მემორანდუმს ხელი მოაწერეს აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრის თავმჯდომარე სვეტლანა ქეცბამ და სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა ჯონი აფაქიძემ.

მაშა, დუმილიც მიმითვალე შენდამი ლოცვად...

2017 წელი ბარათაშვილის წელია. 200 წელი გავიდა ნიკოლოზ ბარათაშვილის დაბადებიდან. სათანადოდ ვერც შარშან რუსთაველის იუბილე აღინიშნა, ვერც წელს – ბარათაშვილის. თუმცა ცალკეულ დაწესებულებებში – სკოლებში, უნივერსიტეტებში, კულტურის ცენტრებში კარგად ახსოვთ და აფასებენ წინაპრებს, რომლებიც სულიერების შენარჩუნებაში, ეროვნული სულის აღზევებაში გვეხმარებიან მარადიულად. ერთი ასეთი, შეიძლება ითქვას, გამორჩეული კერა საზოგადოებრივი და შემოქმედებით ცხოვრებისა გახლავთ აფხაზეთის სულიერების და კულტურის ცენტრი. ამ ცენტრის თაოსნობით მათსავე დარბაზში გაიმართა ნიკოლოზ ბარათაშვილის 200 წლისთავისადმი მიძღვნილი ლიტერატურულ-მუსიკალური საღამო „ჩემი ლოცვა“ (29 მაისი).

პოეტის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ საუბარი მე დამევალა. ამ საპატიო როლში მყოფმა, ვთქვი, რომ თუ გვსურს ევროპის წიაღში კვლავ დაბრუნება და ღირსეულად წარმოჩენა, ამ გზაზე ერთი უპირველესი მეგზური ჩვენთვის სწორედ ბარათაშვილი უნდა იყოს – ევროპული რანგის პოეტი, სრულუფლებიანი მონაწილე თავისი დროის მსოფლიოს ლიტერატურული პროცესებისა. სამწუხაროდ, მსოფლიოსთვის დღემდე შორეულად და თითქმის უცნობად დარჩენილი.

ჯერ კიდევ სტუდენტი ილია ჭავჭავაძე, გაეცნო რა ეკატერინე ჭავჭავაძის მეოხებით, პოეტის შემოქმედებას, მაშინვე მიხვდა, რომ მსოფლიო რანგის გენიოსთან ჰქონდა საქმე. მწარედ დაიტირა წლების წინ გარდაცვლილი, მისთვის უცნობი სულიერი ძმა:

„არა დედ-მამა, მაგ სიკვდილით დაობლდა ერი,
ვინღა მოგვითხრას ჩვენ ჭირი, ურვა და ლხენა?!
ვაი ჩვენ, თვარამ შენ მით მაინც ხარ ბედნიერი,
რომ შენი ლექსი თვით მკვდრეთითაც აღგადგენს შენა!“

ისიც აღნიშნა, ბარათაშვილმა ქართველიც მსოფლიოს წყურვილის მოსაკლავ წყაროს დააწაფაო.

სიმბოლური გახლდათ, რომ საუბარი დავიწყეთ ერეკლეს ლოცვით. ნაწყვეტი პოემიდან „ბედი ქართლისა“ წაიკითხა სოხუმის უნივერსიტეტის სტუდენტმა ელენე ჩხეიძემ. მანვე გაახმოვანა სატრფიალო ლირიკის შედევრი „საყურე“ და ბოლოს მისივე შესრულებით მოვისმინეთ „ჩემი ლოცვა“.

გავიხსენე სიმონ ჩიქოვანის ლირიკული პოემა ბარათაშვილზე, პავლე ინგოროყვას გამოკვლევა (ბიოგრაფიული რომანის ტოლფასი), ბარათაშვილის სულიერი სიახლოვე ბაირონთან... დავიმოწმე ნაწყვეტები პოეტის შედევრებიდან და კერძო წერილებიდან, გამოვთქვი რწმენა, რომ რაც დრო გავა, ბარათაშვილის პოეზია მეტად დაფასდება მთელ მსოფლიოში...

მეორე ნაწილი მთლიანად ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსებზე შექმნილ მუსიკალურ ნაწარმოებებს დაეთმო. მანამდე კი საგანგებოდ აღინიშნა ისიც, რომ ბარათაშვილის ოჯახში მრავალგვარი საკრავი იყო. პოეტის და იგონებს, თვითონ ტატომ დაკვრა არ იცოდა, მაგრამ მუსიკა უყვარდაო. მეგობრობდა თურმე მუსიკოსებთან. სალონებში კი მის ლექსებზე დაწერილ სიმღერებს მღეროდნენ ყელმოღერებული ბანოვანნი თუ ყმაწვილკაცები.

შემთხვევით არ მომხდარა, რომ საღამო გახსნა თბილისის გოგონათა ანსამბლმა, ხელმძღვანელი – ომარ ბურდული, რომელმაც ოსტატურად შეასრულა თანამედროვე გორელი კომპოზიტორის ჯემალ ბეგლარიშვილის გუნდი „შევიშრობ ცრემლსა“.

შემდეგ კი დარბაზი სულგანაბული უსმენდა აღიარებული, კარგად ცნობილი კომპოზიტორების: ზაქარია ფალიაშვილის, გოგი ჩლაიძის, ვახტანგ მაჭავარიანის, არჩილ ჩიმაკაძის, ვაჟა აზარაშვილისა და ოთარ თაქთაქიშვილის ნაწარმოებებს.

მეგი ჩიხრაძემ, ავტორთან -გიორგი ჩლაიძესთან, ლაშა სესიტაშვილმა კონცერტმაისტერ მაია ფერაძესთან, ქეთევან სიხარულიძემ დირიჟორ ვახტანგ მაჭავარიანის აკომპონიმენტით, თემურ გუგუშვილმა ლელა უსეინაშვილის საფორტეპიანო თანხლებით, ელდერ გეწაძემ და დარეჯან მახაშვილმა თავიანთი საშემსრულებლო დონით დაატყვევეს მსმენელი და მათი გულწრფელი ტაში დაიმსახურეს.

შესრულებასთან ერთად აუდიტორია მოიხიბლა გოგი ჩლაიძის, ვახტანგ მაჭავარიანისა და ელდარ გეწაძის საუბრით შესასრულებელი ნაწარმოების შესახებ.

ბოლო მუსიკალური ნომერი გახლდათ ოთარ თაქთაქიშვილის რომანსი „ლოცვა“, რითაც შეიკრა კიდეც ნიკოლოზ ბარათაშვილისადმი მიძღვნილი ეს მუსიკალურ-ლიტერატურული კომპოზიცია.

არადა, მთელი შეხვედრის ლაიტმოტივი მაინც ის სიტყვები იყო პოეტისა, დასაწყისშივე რომ გახმიანდა:

„გვესწრაფე, ჩვენო ხელთამპყრობელო
და აღადგინე დღეს საქართველო!“

დასასრულს, საღამოს წამყვანმა მხურვალედ გვისურვა მსგავსი საღამოების სოხუმში გამართვას მოვესწროთო და ამ იმედითა და რწმენით დავიშალეთ.

ნინო ვახანია,
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

„ფეხზე დაგიდგები, ჩემო საქართველო...“

18 ივნისს აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრში მომღერალ ავთანდილ შარვაძის 70 წლის იუბილე აღინიშნა. ქართველ ბარდს, პროფესიით არქიტექტორს, მიღებული ჰქონდა პროფესიული სამუსიკო განთლება (კონტრაბასის სპეციალობით). მან თბილისის სამხატვრო აკადემიაში ჩამოაყალიბა პირველი საესტრადო ანსამბლი, რომლის წევრებიც იყვნენ ზურაბ მანაგაძე, მერაბ ანდრონიკაშვილი, ნუგზარ ერგემლიძე და სხვები. მისი სიმღერები: „ფეხზე დაგიდგები, ჩემო საქართველო“, „გიორგობისთვე“, „თაფლისთვალა“, „შემოდგომა“, „სავარდო და სამაისო“, „წითელფეხება მტრედებო“ ტრადიციულ ქართულ ფესვებზეა აღმოცენებული და იმავდროულად თვითმყოფი ავტორის ნიშნითაა გამორჩეული. საგულისხმოა,რომ ავთო შარვაძე სიმღერების უმრავლესობას საკუთარ ტექსტებზე ქმნიდა და თავადვე ასრულებდა. უკრავდა თავის განუყრელ გიტარაზე მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი მანერით. ავთო შარვაძის არაერთი სიმღერა დღეს ქართულ პროფესიულ ესტრადაზე არაერთი პოპულარული მომღერლისა და ანსამბლის რეპერტუარშია .

საღამო მიჰყავდა დეკანოზ ბიძინა გუნიას. ნაჩვენები იქნა რეჟისორ კახაბერ კახაბრიშვილის დოკუმენტური ფილმი ავთანდილ შარვაძეზე „ცაში დაფერფლილი ვარსკვლავი". საღამოზე მომღერალი მოიგონეს მისმა მეგობრებმა, ახლობლებმა. ბოლოს ვოკალურმა ტრიო „თბილისმა“ შეასრულა იუბილარის რამდენიმე სიმღერა.

"დიდ ხარ შენ, უფალო..."

საოცარი დღე იყო 28 მაისი. წინაპართა სისხლითა და მადლით გაჯერებული კიდევ ერთი წმინდა ადგილის მოსალოცად გავემართეთ დეკანოზ ბიძინა გუნიას მრევლი. ამჯერად გეზი ქვათახევის მონასტრისაკენ ავიღეთ.

ქვათახევის სამონასტრო კომპლექსი კასპის რაიონში, სოფელ წინარეხიდან 5 კმ-ზე, მდინარე კავთურას ხეობაში მდებარეობს. იგი ქართლის უმთავრეს მონასტრად ითვლებოდა და დიდებულთა მფარველობის ქვეშ იყო. იოსელიანის და ისტორიკოსთა ერთი ნაწილის აზრით, ქვათახევი XV საუკუნემდე დედათა მონასტერი ყოფილა, შემდეგ კი მამათა მონასტერი დაარსებულა. 1386 წელს თემურ–ლენგის მორიგი ლაშქრობის დროს მონასტერი აიკლეს, „განიტაცეს ჭურჭელნი და გამოიღეს სიმდიდრენი მონასტრისა საუნჯეთა არა მცირედი, რამეთუ ფრიად მდიდარ იყო მონასტერი იგი“, ხოლო მონასტერში თავშეფარებული „მონაზონნი, მრავალნი მამანი და დედანი, აზნაურთაგანნი და მღდელნი და დიაკონნი“ და მალულად ამოსული სოფლის მაცხოვრებლები სასტიკად დაარბიეს, ხოლო შემდეგ, როდესაც ქრისტიანობის უარყოფაზე უარი მიიღეს, ერთად გამოკეტეს ყველა და ტაძარი ცეცხლს მისცეს. დარბეული მონასტერი შემდგომ მეფე ალექსანდრე დიდმა (1412-1442) აღადგინა. აქედან მოყოლებული მონასტერი იმდენად წმინდად ითვლებოდა, რომ იქ ქალს ფეხი აღარ დაუდგამს. 1735-1740 წლებში მონასტერი დაიკეტა, ხოლო მონასტერში დაცული სიწმინდეები მონასტრის ახლოს, გამოქვაბულში გადამალეს. XVIII საუკუნის ბოლოს ტაძარი ისევ მოქმედი გახდა, ხოლო 1809 წელს არქიმანდრიტ დოსითეოსის მეშვეობით გადამალული განძი აღმოჩენილ იქნა და კვლავ მონასტერს დაუბრუნდა.

გადმოცემით, ტაძრის საძირკველში ღვთისმშობლის სამოსლის მცირე ნაწილია ჩატანებული და ტაძარიც მისსავე სახელს ატარებს. აქვე დავანებულია ქრისტიანული ეკლესიის უდიდესი სიწმინდე წმ. იოანე ნათლისმცემლის წმინდა ნაწილი და ღვთისმშობლის მიძინების სასწაულთმოქმედი ხატი, რომლის წინაშეც უშვილო მშობლები ევედრებიან ყოვლადწმინდა დედას.

თბილისიდან წასულებს გზაში წვიმა წამოგვეწია, ადგილ-ადგილ ისეთი თქეში მოდიოდა, ცოტა ეჭვიც კი შეგვეპარა, მონასტერში ასვლას შევძლებდით თუ არა. მაგრამ რაც უფრო ვუახლოვდებოდით წმიდა ადგილს, ამინდიც იცვლებოდა და ქვათახევში ასულებს მხოლოდ ნაწვიმარი მდელო დაგვხვდა.

საოცარი გრძნობა დაგვეუფლა, როდესაც იმ დარბაზში შევედით, სადაც უწყალოდ დარბეულ წინაპართა ნაკვალევი დღესაც ჩანს. მამა ბიძინამ საჯანმრთელო პარაკლისი გადაიხადა და ყველანი ვემთხვიეთ ჯვარს, რომელშიც წმ. იოანე ნათლისმცემლის წმიდა ნაწილია დავანებული. გარეთ გამოსულებს თავი პატარა სამოთხეში გვეგონა - ღრუბლებში თავწარგული მთები, ამაყად მდგარი ტაძარი, პირველყოფილი სიმწვანით მობიბინე მდელო და რამდენიმე ბატკანი... რწმენამ მოიყვანა აქამდე ყოველივე ეს და რწმენა გადაგვარჩენს.

ჭეშმარიტად, „დიდ ხარ შენ, უფალო...“

ციცინო ჯულუხიძე

დეპუტატი ცენტრს სტუმრობს

საქართველოს პარლამენტის ვაკის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი, ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ წევრი ზაზა ხუციშვილი 12 აპრილს აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრს ეწვია.

შეხვედრას გაცნობითი ხასიათი ჰქონდა. ცენტრის თავმჯდომარე სვეტლანა ქეცბა სტუმარს აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრის საქმიანობის შესახებ ესაუბრა, განხორციელებული მნიშვნელოვანი პროექტები გაიხსენა და ცენტრის მიერ დასახულ ახალ იდეებსა და ინიციატივებზე გაამახვილა ყურადღება. შეხვედრაში მონაწილეობდნენ, აგრეთვე, ცენტრის თანამშრომლები. მათ განცხადებებში გამოიკვეთა, რომ ორგანიზაციის მთელი ძალისხმევა მიმართულია აფხაზეთიდან დევნილი საზოგადოების სულიერების ამაღლებაზე, მათთვის განვლილი უმძიმესი განსაცდელის შემსუბუქებასა და მომავლის იმედისა და რწმენის გაძლიერებაზე.

„ საინტერესო და საქმიანი“ - ასე შეაფასა შეხვედრა დეპუტატმა ზაზა ხუციშვილმა, აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრთან მომავალი თანამშრომლობის მზადყოფნა გამოთქვა და კონკრეტული საკითხების გადაჭრაში მხარდაჭერა აღუთქვა.

საალდგომოდ...

* * *

კომპანია „S Room“-ის ინიციატივითა და აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრის ორგანიზებით 13 აპრილს საქველმოქმედო საალდგომო აქცია გაიმართა. ესთეტიკური მედიცინის ცენტრ „დერმასა“ და კომპანია „S Room“-ის დამფუძნებელმა სალომე სურგულაძემ აფხაზეთიდან და ცხინვალის რეგიონიდან დევნილ 20 ბავშვს საჩუქრები გადასცა. სალომე სურგულაძე აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრთან მდებარე კომპაქტურ ჩასახლებას ესტუმრა, ადგილზე გაეცნო დევნილი ოჯახების საცხოვრებელ პირობებს და მათ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაული მიულოცა. აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრის თავმჯდომარე სვეტლანა ქეცბამ მადლობა გადაუხადა აქციის ორგანიზატორებს: „დღეს ძალიან დიდი სიხარულისა და ბედნიერების დღეა ჩვენი დევნილი ბავშვებისათვის სამხრეთ ოსეთიდან და აფხაზეთიდან. არ შემიძლია ემოციების გარეშე იმაზე საუბარი, თუ როგორ მდგომარეობაში იმყოფებიან დღეს ისი-

გაგრძელება მე-8 გვ.

დასაწყისი მე-7 გვ.

ნი. მინდა მადლობა გადავუხადო ყველას, ვინც მონაწილეობდა საქველმოქმედო აქციაში, განსაკუთრებით ინვესტორებს, რომლებიც დღეს ჩვენს ოფისში მობრძანდნენ თავიანთი პროდუქციით. მსგავსი ღონისძიებები დიდი სიხარულის მომტანია პატარებისთვის“.

საქველმოქმედო აქციაში მონაწილეობის მისაღებად კომპანია „Humana“- ც ხელდამშვენებული გვესტუმრა და ბავშვები დაასაჩუქრა.

* * *

8 აპრილს ელენე ახვლედიანის სახელობის გალერეაში ბავშვთა ნახატების ტრადიციული „სააღდგომო გამოფენა“ გაიხსნა. როგორც ყოველთვის, გამოფენა ამჯერადაც მრავალფეროვანი იყო:. აქ შეხვდებოდით როგორც ბიბლიურ სიუჟეტებს, ასევე პეიზაჟებს, ნატურმორტებს, პორტრეტებს... მოწონება დაიმსახურა, აგრეთვე, გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშებმა: თექამ, ძერწვამ.

გამოფენა გახსნეს გალერეის დირექტორმა ლიანა გორგაძემ და საგანმანათლებლო განყოფილების გამგე მარინა თაბორიძემ. ბავშვებს აღდგომის დღესასწაული მიულოცეს ხელოვნების სკოლის პედაგოგმა უშანგი ლონდარიძემ, აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრის წარმომადგენელმა ლეილა ბაღბაიამ, სოლიკო ვირსალაძის სახელობის #1 სამხატვრო ხელოვნების სკოლის დირექტორმა ქეთევან ბარნაბიშვილმა.

გამოფენის ყველა მონაწილეს გადაეცა დიპლომი.

ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე

* * *

ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს, კომპანია „S Room“-ის ინიციატივით აფხაზეთიდან დევნილი 20 ბავშვი დასვენებისა და კულტურის პარკ მუშტაიდს ეწვია. ბავშვებს მთელი დღის განმავლობაში პარკის სხვადასხვა ატრაქციონზე უფასოდ გართობის საშუალება მიეცათ.

კომპანია „S Room“-ის დირექტორმა სალომე სურგულაძემ ღონისძიებაზე აფხაზეთიდან დევნილ მოზარდებს ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე მიულოცა, გასართობ პარკში დასასწრები აბონემენტები გადასცა და „გურჯაანის ნაყინი“ დაურიგა. საქველმოქმედო აქციაში აფხაზეთის №2 საჯარო სკოლის მოსწავლეებმა და საქველმოქმედო სახლ „მომავლის გზის“ აღსაზრდელებმა მიიღეს მონაწილეობა.

ღონისძიება კომპანია „გურჯაანის ნაყინის“ მხარდაჭერითა და აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრის ორგანიზებით გაიმართა.

* * *

ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრის ორგანიზებით და საბავშვო ანსამბლ „გვირილას“ ხელმძღვანელობის მხარდაჭერით, 2017 წლის 3 ივნისს, აფხაზეთიდან დევნილი 20 მოზარდი, ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში, ანსამბლის გალა კონცერტს დაესწრო.

კონცერტს „20 წელი სცენაზე“ დაესწრნენ აფხაზეთის №2 და №3 საჯარო სკოლების მოსწავლეები. ულამაზეს მუსიკალურ წარმოდგენაში, „გვირილას“ აღსაზრდელების გარდა, საზოგადოებისთვის ცნობილი და საყვარელი სახეები მონაწილეობდნენ: მსახიობები გივი სიხარულიძე და ლაშა რამიშვილი, მოცეკვავე ომარ მხეიძე და მომღერალი ბორის ბედია. საღამოს ნუგზარ კვაშალი და პროექტის ავტორი ნინო ჩიხლაძე უძღვებოდნენ.

„ცოცხალი წიგნები - 2017“

გუშინ დავბრუნდით თბილისში საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს პროექტის – „ცოცხალი წიგნების“ მონაწილენი, პირველი ჯგუფი. საკუთარი და მეგობრების წიგნებით ვესტუმრეთ ქვემო ქართლს, დმანისსა და ბოლნისს, შიდა ქართლს, გორსა და ხაშურს, ბორჯომის რაიონს.

კიდევ ერთხელ დავრწმუნდი იმაში, რომ პროექტი საჭიროც არის და აუცილებელიც. სხვა რომ არაფერი, მკითხველები ყოველ ჯერზე გველოდებიან, საგანგებოდ ემზადებიან, თავადაც კითხულობენ ლექსებსა თუ მოთხრობებს, ინტერესდებიან თანამედროვე ლიტერატურული პროცესებით, ახალი გამოცემებით და ა. შ.

სხვადასხვა რაიონში სტუმრობა დაგანახებს იმასაც, რომ საგანმანათლებლო (სასკოლო, საბიბლიოთეკო, სამუზეუმო) საქმე ყველგან ერთნაირ (სათანადო) დონეზე ვერ არის. ზოგან ამ კუთხით კიდევ უამრავი რამაა საკეთებელი.

ქვემო ქართლით დავიწყეთ, დმანისითა და ბოლნისით.

პირველად ვესტუმრე ამ რაიონებს. ბოლნისის სიონი, ადრეული ქრისტიანული ხუროთმოძღვრების ეს შედევრი, ქვისა და წიგნიერების ჰიმნია. წირვას შევესწარით. ჭიშკრამდე შრიალა იასამანმა მოგვაცილა.

ბოლნისელებს ზეიმი გაუმართავთ. კაზრეთში, ოქროს მთებს შორის, აკვამარინის შადრევანია. ამ შადრევნის გარშემო მთელი რაიონის ისტორია და თანამედროვეობაა გამოფენილი: ეკატეერინფილდის კირხე (რომლის აღდგენაც პირვანდელი სახით იგეგმება), შვაბების ჩამოსახლება, ხელნაკეთი ხალიჩები და თექა, ხის ჭურჭელი და სუვენირები, ხალხური საკრავები, წიგნები. მწვანე (ბუნებრივ) სცენაზე ჩვენ და ადგილობრივი ფოლკლორული კოლექტივები ერთმანეთს ვენაცვლებით. ბავშვები აქტიურობენ, საბავშვო ლექსებს ვიხსენებთ და ვამბობთ კიდეც. საპასუხო ლექსებით გვეგებებიან. ეს ყველაფერი ბოლნისის რაიონის კულტურის სამსახურის ხელმძღვანელის, ბატონი კობა ჟღენტის ორგანიზებულია. სამაგალითო ხელმძღვანელია – თავის რაიონსა და საქმეზე უზომოდ შეყვარებული, ყველა დეტალში ჩახედული და გარკვეული. რაიონის „მაჯისასა შემტყვებარი“. თვითონვე გვმასპინძლობს როგორც ღონისძიებაზე, ისე გერმანულ წისქვილში. წისქვილამდე პეტრე-პავლეს ახალაგებულ სამონასტრო კომპლექსს მოგვატარებს... დაუვიწყარია ეს შთაბეჭდილებები. ელიას მთიდან, რომელზეც 2014 წელს ეს კომპლექსი აშენდა, მთელი რაიონი ხელისგულივით ჩანს. შორს ამაყი გედივით იღერებს ყელს წუღრუღაშენი...

დიდი საქმე წამოუწყიათ და ლამაზად დაუსრულებათ კიდეც გორის რაიონის სოფელ ზემო ნიქოზის მოზარდებს. რაიონის კულტურის სამსახურის თანადგომით მათ სოფლის ადმინიტრაციულ შენობაში ბიბლიოთეკა მოაწყვეს, შელესეს, შეღებეს, წიგნები შეიტანეს და ლამაზ თაროებზე გაზაფხულის ყვავილებთან ერთად ჩამოამწკრივეს. ბიბლიოთეკის გახსნაზე „ცოცხალი წიგნები“ დაპატიჟეს. ანათებდნენ ბავშვებიცა და ოთახიც, რომ შევედით. მოგეხსენებათ, ზემო ნიქოზი კონფლიქტისპირა სოფელია. ცხინვალამდე ხელის გაწვდენაა. აქ გაკეთებული ყოველი სიქველე მნიშვნელოვანია და წარმოსაჩენი. ბევრ რამეზე ვისაუბრეთ. ხელახალი შეხვედრის იმედითა და სურვილით დავემშვიდობეთ ნიქოზელებს. შემდეგ იყო ვარიანი, დიდი იაკობ გოგებაშვილის სახლ-მუზეუმი, კოხტა და მოვლილი, როგორც „დედაენის“ შექმნელს შეეფერება, ღელე, ოქროს თევზები და ოქროს ძაღლი ეზოში, კიდევ ქარი და აპრილის ტირიფი... არ დავიწყებ იმაზე საუბარს, თუ რატომ არ (თუ ვერ) მოვიდნენ შეხვედრაზე ვარიანელი ახალგაზრდები. უბრალოდ ვიტყვი, რომ ყველგან პოლიტიკური ნიუანსების გარევა სიბეცის ნიშანია. „ცოცხალი წიგნები“ ლიტერატურული და კულტურული პროექტია და არა წინასაარჩევნო პიარ-კამპანია, როგორც თურმე ზოგიერთს წარმოუდგენია.

გორში დიდი ბელადის სახლ-მუზეუმი დავათვალიერეთ მე და ნიკა ჩერქეზიშვილმა. უამრავი საინტერესო ექსპონატია აქ, უნიკალური მუზეუმია ყველა პარამეტრით, ყველა თაობამ რომ უნდა ნახოს, ისეთი.

ღამე ქუთაისის ქუჩაზე მდებარე „Nitsa guest house “-ში გავათენეთ. მშვენიერი მასპინძელი ქალბატონი ლია ღიმილით დაგვიხვდა და ღიმილითვე დაგვემშვიდობა.

ხაშურისკენ დავიძარით, სადაც სოფელ ქვიშხეთში, დიმიტრი ყიფიანის წმინდანად შერაცხვის დღისადმი მიღძვნილ ღონისძიებაზე გველოდნენ. სავალალო მდგომარეობაშია ამ დიდი მოღვაწისა და აწ უკვე წმინდანის სახლ-მუზეუმი, სადაც ასევე უნიკალური ექსპონატებია წარმოდგენილი. მასპინძლებმა (მათ შორის, რაიონის ხელმძღვანელმა პირებმა) გვითხრეს, რომ შესაბამისი ტენდერი შედგა და ორ წელიწადში სახლ-მუზეუმი განახლებული სახით დაუხვდება ქვიშხეთში ამოსულთ. ულამაზესი ღონისძიება გაიმართა მუზეუმის ეზოში, სიმღერებით, ცეკვებით, ლექსებით... მას ბევრი სტუმარი დაესწრო, ადგილობრივი თუ დედაქალაქიდან და სხვა რაიონებიდან ჩამოსული.

ქვიშხეთიდან ბორჯომის რაიონის სოფელ ტაძრისისკენ დავიძა-

რით. გზა ულამაზეს ხეობას მიუყვება... რველი – თეთრ მტრედებს ჰგვანან სტუდენტობისდროინდელი მოგონებები... და ვიყურები ფანჯრიდან და მიყურებენ ზურმუხტისფერ ქურქიანი მთები, წიწვიანი ხეები რომ წამწამებივით აუპრიხავთ... აღმართია, მერე კიდევ აღმართი, თოვლიანი ხედები ახლოვდება, გეჩვენება, რომ გაიწვდენ ხელს და გუნდაც შეიკვრება. ამ აპრილის მიწურულს, ამ გადარეული ხეხილის ფონზე თეთრნაბდიანი ზამთარი აბაკუნებულა სოფელ ტაძრისში...

სავსეა ტაძრისის საშუალო სკოლა, რომელშიც თურმე ორასორმოცდაათამდე ბავშვი სწავლობს – პატარები, მასწავლებლები, ბიბლიოთეკარები, ბორჯომიდან და მეზობელი სოფლებიდან ჩამოსული სტუმრები... გამოგვიტყდნენ, რომ ნოდარ დუმბაძის ქალიშვილებს ელოდნენ, საგანგებოდ დაუდგამთ ლიტერატურული წარმოდგენა, დიდი მწერლის ლექსებსა და მოთხრობებს კითხულობენ, იებით მოქარგული სტენდია კედელზე, მწერლის თითქმის ყველა გამოცემა დევს ხის ძველებურ მაგიდაზე... სასწაული ბავშვები არიან! მსმენელიც ასეთივე – ყურადღებიანი, განათლებული, უშუალო. თავიანთ ლექსებს გვიკითხავენ იქაური ქალბატონები, ჩვენ ჩვენსას ვუკითხავთ. ჩემი მეგობრის მონიკა ჭანტურიას ნახვა მახარებს! სამი შვილის დედაა, ბორჯომში ცხოვრობს, ორ ადგილას მუშაობს, ყველა წუთი დათვლილი აქვს. აბა, როგორ არ მოვიდოდი, მეუბნება...

ადგილობრივ ბიბლიოთეკას „ცოცხალი წიგნების“ საჩუქარი შეემატა – ახალი წიგნები და ჟურნალები. ვათვალიერებთ – მშვენიერი წიგნადი ფონდია!..

გარეთ გავრბივარ, ფოტოაპარატით კიდევ უფრო ვცდილობ ტაძრისის თოვლის მოახლოებას... რა კარგია, ადამიანები რომ უახლოვდებიან ერთმანეთს, აგერ ჩემი მეგობრები, შესანიშნავი ავტორები, ვისთან ერთადაც ეს სამი დღე გავატარე - მარიამ წიკლაური, ნიკა ჩერქეზიშვილი, ნინო გუგეშაშვილი, ირმა ბერიძე, კატო ჯავახიშვილი, ლელა ცუცქირიძე, გიორგი კაკაბაძე, აგერ ამდენი მასპინძელი და სტუმარი! აგერ ჩემი დალოცვილი ქვეყანა! მადლობა მათ!..

...და ასე ვივლი, სანამ ცოცხალი ვარ, გულიდან – გულში, მთიდან – ბარში, ბარიდან – მთაში... მადლობა უფალს!

რობერტ მესხი

25-27 აპრილი, 2017

საგულისხმო ამბები

17 მაისი - ოჯახის სიწმინდის დღე

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესი ილია II კურთხევით 17 მაისს უკვე მეოთხედ აღინიშნა ოჯახის სიწმინდისა და მშობლების პატივისცემის დღე. თბილისში შემობრძანდა ორი ხატი - აწყურის ღვთისმშობლისა, რომელმაც მსვლელობა აჭარიდან დაიწყო 10 მაისს და ივერიის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატი, რომელიც მსველელობას სვეტიცხოველში შემოუერთდა.

თბილისის წმ. ალექსანდრე ნეველის სახელობის ტაძრის დეკანოზ ბიძინა გუნიას მრევლი აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრის თანამშრომლებთან ერთად ოპერის თეატრის მიმდებარედ აღნიშნავდა ამ დღესასწაულს. კონცერტის შემდეგ, რომელშიც ლექსი სიმღერას ენაცვლებოდა, შემობრძანებულ ხატებთან ერთად მრევლმა წმ. სამების საკათედრო ტაძარში გადაინაცვლა, სადაც უწმიდესმა და უნეტარესმა პარაკლისი გადაიხადა, დალოცა ოჯახები, მრევლი და სრულიად საქართველო.

მეგობრობის უტყუარი პილონი

2017 წლის 18 აპრილს TBC გალერეაში გაიმართა გურამ ოდიშარიას აფხაზურ ენაზე თარგმნილი რომანის "პრეზიდენტის კატის" პრეზენტაცია.

* * *

2017 წლის 9 მაისი. ტარტუ. ესტონეთი. გურამ ოდიშარიას რომანის "პრეზიდენტის კატის" პრეზენტაცია.

* * *

29 მაისს, თბილისში, მესამე საერთაშორისო ლიტერატურული ფესტივალის გახსნისას, ჰომეროსის მედლის საერთაშორისო კომისიის (ბრიუსელი) გადაწყვეტილებით მწერალი გურამ ოდიშარია დაჯილდოვდა „პოეტებისა და ხელოვანთა ევროპული მედლით – ჰომეროსი“. ჯილდო გადასცა ჰომეროსის მინიჭების საერთაშორისო კომისიის თავმჯდომარემ ბატონმა დარიუშ ტომაშ ლებიოდამ და იმავე კომისიის წევრმა, ჰომეროსის მედლის კავალერმა, ბატონმა გაგიკ დავთიანმა.

ვიტალი დარასელიას სახელობის საერთაშორისო ტურნირი

20- 25 აპრილს, თბილისში, 2001 წელს დაბადებულ ფეხბურთელთა შორის, უეფას თასთა მფლობელთა თასის ფინალში, გერმანულ „კარლ ცაისთან“ გატანილი მეორე, გამარჯვების გოლის ავტორის ვიტალი დარასელიას სახელობის საერთაშორისო ტურნირი ჩატარდა.

შეჯიბრი უკვე მეორედ გაიმართა და მასში, თბილისის „დინამოს„ გარდა, მონაწილეობდნენ: მილანის „ინტერი“, კიევის „დინამო“, ჰოლანდიური „ალკმაარი„(პირველი ტურნირის მონაწილე და თასის მფლობელი), ბელგიური „გენტი“, ზაგრების „დინამო“, აზერბაიჯანული „გაბალა“ და თურქული „ტრაბზონსპორი“. მატჩები დინამოს აკადემიის ტერიტორიაზე ჩატარდა, ხოლო ფინალური შეხვედრა, 25 აპრილს, დინამო არენაზე შედგა. წელს ფინალში გასულ ჰოლანდიის „ალკმაარისა“ და კიევის „დინამოს“ შორის შეხვედრის ძირითადი დრო ფრედ 1:1 დასრულდა, თერთმეტმეტრიანი საჯარიმო დარტყმების სერიაში კი უკრაინელებმა 4:2 იმარჯვეს.

ვიტალი დარასელიას სახელობის თასის მფლობელი კიევის „დინამო“ გახდა, ტურნირის საუკეთესო მოთამაშის პრიზი კი კიევის „დინამოს“ ფეხბურთელ მაქსიმ ზავჰოროდნის გადაეცა.

გაგვიმთლიანე დაჭრილი გული...

საქართველოს მწერალთა კავშირში 21 აპრილს გაიმართა შეხვედრა წმ. ილია მართლის ორდენოსან ზურაბ მამულაშვილთან. საქართველოს მწერალთა კავშირის წევრს, პოეზიის მადლი სიყრმიდანვე დაჰყვა.მიუხედავად გადატანილი უმძიმესი ტრავმისა, მან შეძლო შეენარჩუნებინა სულის სიმტკიცე და ცხოვრების ხალისი. იგი დაუღალავი, ინიციატივიანი პიროვნებაა, რომელიც დიდ მნიშვნელობას ანიჭებს შშმ პირების საზოგადოებაში ინტეგრაციას. პოეტის ლექსები სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულითაა გამთბარი. მათში პოეტის განცდები და ღრმა ტკივილია გადმოცემული შაგრენის ტყავივით დაპატარავებული სამშობლოსა და დაკარგული რწმენის გამო...

„ ... ო, წმინდა ჯვარო, გუმბათზე მდგარო,
მუხლმოდრეკილი გვედრი მავანი,
მხოლოდ შენ უწყი ქართველი ერის
დიდი წარსულიც და მომავალიც.
დაგვიმწყალობე ყოველი მართვე,
გაგვიმთლიანე დაჭრილი გული,
და დაუბრუნე თვითეულ ქართველს
რწმენა, დიდი ხნით დავიწყებული!“

მისი ლექსები თარგმნილია გერმანულ, ბულგარულ, რუსულ ენებზე.

ბატონ ზურაბს განსაკუთრებული დამოკიდებულება აქვს აფხაზეთთან. იგი დღესაც არ წყვეტს კავშირს აფხაზეთიდან დევნილ ქართველებთან. მონაწილეობს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს მიერ მოწყობილ თბილისისა და აფხაზეთის ამპუტანტ ფეხბურთელთა გუნდების შეხვედრებში. ამაყობს იმით, რომ მინისტრმა, ბატონმა დიმიტრი ჯაიანმა მას პირადად გადასცა გამარჯვებულის პრიზი. მონაწილეობდა მათივე ინიციატივით მოწყობილ ნარდის ჩემპიონატში აფხაზეთისა და ქ. თბილისის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე გუნდებს შორის. ამ ჩემპიონატში ბატონმა ზურაბმა პირველი ადგილი დაიკავა.

ზურაბ მამულაშვილმა თავისი საინტერესო, შინაარსიანი შემოქმედებითი და სპორტული ცხოვრებით, გაუტეხელი სულით დაამტკიცა, რომ ის არის არა შეზღუდული შესაძლებლობის, არამედ განსაკუთრებული შესაძლებლობის მქონე მისაბაძი ადამიანი.

მედეა ზუხბაია

საეკლესიო კალენდარი

1 ივლისი, სულთმოფენობიდან მე-4 შვიდეულის შაბათი - ღირსი მიქაელ ულუმბოელის ხსენება (VIს.);

2 ივლისი, სულთმოფენობიდან მე-4 კვირა - უფლის ძმის, მოციქულ იუდას ხსენება;

4 ივლისი, სულთმოფენობიდან მე-5 შვიდეულის სამშაბათი – წმ. დიდებულთა მოწამეთა საქართველოს მეფეთა არჩილისა (744წ.) და ლუარსაბის (1622წ.) ხსენება;

5 ივლისი (ოთხშ.) – მღვდელმოწამე მიქაელ ჰერელის (ყულოშვილი, 1918წ.);

7 ივლისი (პარ.) – შობა პატიოსნისა დიდებულისა წინასწარმეტყველისა, წინამორბედისა და ნათლისმცემელისა იოანესი;

8 ივლისი (შაბ.) - ღირ. მოწ. ფებრონია ქალწულის ხსენება (დაახ. 304წ.);

10 ივლისი, სულთმოფენობიდან მე-6 შვიდეულის ორშაბათი - ღირ. გიორგი მთაწმიდელისა (1065წ.) და სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის, მღვდელ-მოწამე კირიონ II (1918წ.) ხსენება;

11 ივლისი (სამშ.) -აღმოყვანება ნაწილთა წმიდა მოწამეთა კვიროს და იოანე უვეცხლოთა და საკვირველთმოქმედთა (412წ.);

12 ივლისი (ოთხ. – პეტრე-პავლობა (დიდებულთა და ყოვლად ქებულთა თავთა მოციქულთა პეტრესი და პავლეს ხსენება);

13 ივლისი (ხუთშ.) – სვეტიცხოვლობა. დიდებულთა და ყოვლად ქებულთა ათორმეტ მოციქულთა კრება;

14 ივლისი (პარ.) - წმ. ნერსე მთავარეპისკოპოსის ხსენება;

- საკვირველმოქმედთა უვეცხლოთა კოზმასი და დამიანესი (რომში წამებულთა – 284წ.).

15 ივლისი (შაბ.) - დადება პატიოსნისა სამოსლისა ყოვლადწმიდისა დედუფლისა ჩვენისა ღმრთისმშობელისა ვლაქერნას (Vს.);

16 ივლისი, სულთმოფენობიდან მე-6 კვირა - გერგეთობა – ყოვლადწმიდა სამების დღესასწაული სტეფანწმინდის რაიონის სოფელ გერგეტში;

17 ივლისი, სულთმოფენობიდან მე-7 შვიდეულის ორშაბათი - წმ. ანდრიას, კრეტელი მთავარეპისკოპოსის („სინანულის დიდი კანონის“ შემქმნელის) ხსენება (712-726წ.);

18 ივლისი (სამშ.) - ღირ. ათანასე ათონელის ხსენება (1000წ.);

21 ივლისი (პარ.) - წმ. მირდატ მეფის ხსენება (410წ.);

23 ივლისი, სულთმოფენობიდან მე-7 კვირა - ორმოცდახუთთა მოწამეთა, ნიკოპოლისში წამებულთა ხსენება (დაახლ. 319წ.);

24 ივლისი, სულთმოფენობიდან მე-8 შვიდეულის ორშაბათი - დიდმოწამე ეფემია ყოვლადქებულის სასწაულის ხსენება;

25 ივლისი (სამშ.) - ღირ. მამათა ჩვენთა ათონელთა: იოანეს და გაბრიელის ხსენება (Xს.);

26 ივლისი (ოთხშ.) - კრება გაბრიელ მთავარანგელოზისა;

28 ივლისი (პარ.) - მოწ. კვირიკესა და ივლიტას ხსენება (დაახლ. 305წ.);

30 ივლისი, სულთმოფენობიდან მე-8 კვირა - ექვსი მსოფლიო კრების წმიდა მამათა ხსენება;

- დიდმოწ. მარინეს ხსენება (IVს.).

31 ივლისი, სულთმოფენობიდან მე-9 შვიდეულის ორშაბათი - ღირ. კოზმან ხუცესმონაზონის ხსენება (1630წ.).

***

1 აგვისტო, სულთმოფენობიდან მე-9 შვიდეულის სამშაბათი - ღირ. სერაფიმე საროველის ნაწილთა პოვნა (1903წ.);

2 აგვისტო (ოთხშ.) - წინასწარმეტყველ ილია თეზბიტელის ხსენება (IXს. ქრისტეს წინ);

- წმ. ილია მართლის (ჭავჭავაძის) ხსენება (1907წ.);
- სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II ანგელოზის დღე.

4 აგვისტო (პარ.) - მოც. სწორის მენელსაცხებლის მარიამ მაგდალინელის ხსენება (Iს.);

6 აგვისტო, სულთმოფენობიდან მე-9 კვირა - ღირ. ილარიონ თუალელის ხსენება (XIს.);

7 აგვისტო, სულთმოფენობიდან მე-10 შვიდეულის ორშაბათი - მიძინება მართალი ანასი, ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის დედისა;

9 აგვისტო (ოთხშ.) - დიდმოწ. პანტელეიმონ მკურნალის ხსენება (305წ.);

11 აგვისტო (პარ.) - მოწ. ევსტათი მცხეთელის ხსენება (589წ.);

12 აგვისტო (შაბ.) - აღმს. ცოტნე დადიანის ხსენება;

13 აგვისტო, სულთმოფენობიდან მე-10 კვირა ¬ცხოველსმყოფელი ჯვარის პატიოსან ძელთა შემოყვანების წინა დღესასწაული;

14 აგვისტო, სულთმოფენობიდან მე-11 შვიდეულის ორშაბათი:

- ცხოველსმყოფელი ჯვარის პატიოსან ძელთა შემოყვანება;
- მარიამობის მარხვის დასაწყისი! წყლის კურთხევა (მცირე აიაზმა).

15 აგვისტო (სამშ.) - პირველმოწამე მთავარდიაკონ სტეფანეს ნაწ. აღმოყვანება (დაახ. 428წ.);

16 აგვისტო (ოთხშ.) - პირველმოწამე რაჟდენის ხსენება (457წ.);

- მარაბდის ომის გმირთა: ცხრა ძმა ხერხეულიძის, დედისა და დისა მათისა და მათთან 9000 ქართველთა, მხედართა და მხედართმთავართა ხსენება;

17 აგვისტო (ხუთშ.) - შვიდთა ყრმათა ეფესელთა ხსენება (დაახ. 250წ.);

19 აგვისტო (შაბ.) - ფერისცვალება (ხსნილია თევზით);

21 აგვისტო, სულთმოფენობიდან მე-12 შვიდეულის ორშაბათი - ღირ. ექვთიმესი, წმ. იოანე ნათლისმცემლის მონასტრის წინამძღვრისა;

22 აგვისტო (სამშ.) - მოც. მატათას ხსენება (დაახ. 63წ.);

26 აგვისტო (პარ.) - ღირსი მაქსიმე აღმსარებლის ხსენება (662წ.);

27 აგვისტო, სულთმოფენობიდან მე-12 კვირა - მღვდელმოწამე ნაზარის (ქუთათელ-გაენათელი მიტროპოლიტის) ხსენება (1924წ.);

- ყოველთა ახლმოწამეთა, ტოტალიტარული რეჟიმის დროს ურწმუნოთაგან წამებულთა ხსენება (XX).

28 აგვისტო, სულთმოფენობიდან მე-13 შვიდეულის ორშაბათი:

- მარიამობა (ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის მიძინება);
- სიონობა;
- ღმრთისმშობლის ხატთა თაყვანისცემა.

29 აგვისტო (სამშ.) - წამოყვანება იესო ქრისტეს ხელთუქმნელი ხატისა ედესით კონსტანტინეპოლს (944წ.);

- ანჩისხატობა;
- მამა ანტონობა მარტყოფში.

30 აგვისტო (ოთხშ.) - წმ. ტბელ აბუსერიძის (ჰაგიოგრაფისა და ჰიმნოგრაფის) ხსენება;

31 აგვისტო (ხუთშ.) - ღირ. ქრისტოდულესი, ოსად წოდებულის, ფილოსოფოსის) ხსენება (XIIს.);

„ღიღ ნაჯ შენ, უფალო...“

ბიჟი შაჰნაზარი

კულტურის დანერგვის მნიშვნელოვანი დოკუმენტი



9 772298 086004

ქვათახევის მონახეები

სარედაქციო კოლეგია: სვეტლანა ქეცბა, დეკანოზი ბიძინა (გუნია),
ლია სეხნიაშვილი, ნოდარ სილაგაძე, ირინა ქეცბა
პასუხისმგებელი რედაქტორი ციცინო ჯულუხიძე

სსიპ „სულიერებისა და კულტურის ცენტრი“
მისამართი: თბილისი, თოფურიას ქ. №12, ტელ.: 231-51-30, 599-05-96-11. ტირაჟი: 500 ცალი